თბილისის “დინამოს” გამარჯვება

გუშინ, 21 აპრილს, ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა ფეხბურთში სსრ კავშირის 1949 წლის პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების ფეხბურთელთა გუნდები.

მატჩის დასაწყისში ინიციატივა ხელთ იგდეს მოსკოველებმა. მათ ხელს უწყობდა ამინდიც _ ისინი პირველ ტაიმში ქარის მიმართულებით თამაშობდნენ. 20 წუთის განმავლობაში მოსკოველები არ მოშორებიან თბილისელთა საჯარიმო მოედანს. დიდი “მუშაობა” დასჭირდა თბილისელთა დაცვას. განსაკუთრებით გამოირჩეოდა შესანიშნავი და გაბედული თამაშით მეკარე ვ. მარღანია, რომელმაც ამ მატჩში ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ მისი სახით იზრდება პირველხარისხოვანი მეკარე. მარღანიამ მთელი რიგი სახიფათო ბურთები მოიგერია, რითაც აშკარა მარცხს ააცდინა თავისი გუნდი. თამაშის პირველ ნახევარს შედეგი არ მოყოლია.

მეორე ტაიმის დასაწყისში გ. პანიუკოვმა 25 მეტრის მანძილიდან ძლიერი საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა კვლავ თბილისელთა ხელში იყო. სამი წუთით ადრე თამაშის დამთავრებამდე ბორის პაიჭაძემ მიიღო ბურთი მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე. მოექცა რა ორ მცველს შუა, მან წინ გაუჭრა ბურთი რ. მახარაძეს, ხოლო მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მახარაძემ ადვილად შეძლო არმიელთა კარში მეორე ბურთის გატანა.

შეხვედრა დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით 2:0.

მორიგ მატჩს თბილისელები ჩაატარებენ თავის მოედანზე 25 აპრილს ლენინგრადის “ზენიტის” გუნდთან.

ა. გოგოლაშვილი.
“კომუნისტი”, 22 აპრილი, 1949 წ.